

**ყაზბეგ-ომალოს რეგიონის ფიქლის გაზის პერსპექტიული ლოკალური უბნების
დეტალური გეოლოგიური შესწავლა (№217754)**

ამჟამად ფიქლის გაზის (შეილგაზის) მდიდარი მარაგების ათვისებისკენ მიმართული სამუშაოები მთელ მსოფლიოშია გაშლილი. შეილგაზის შემცველობის თვალსაზრისით, პერსპექტიულად ითვლება მსოფლიოს გარკვეულ რეგიონებში სხვადასხვა ასაკისა და შედგენილობის თიხაფიქლები. კვლევისათვის ამ ეტაპზე, რიგი მნიშვნელოვანი მონაცემების გათვალისწინებით, კავკასიონის ნაოჭა სისტემის პერსპექტიული უბნების თიხაფიქლები იქნა არჩეული.

ყაზბეგ-ომალოს ზონის მთელ ტერიტორიაზე (ყაზბეგის რაიონის, არღუნის, პირიქითა ალაზნის, თუმეთის ალაზნის, სტორის ხეობები და სხვ.) ჩვენ მიერ წინა წლებში ჩატარებული საველე-გეოლოგიური სამუშაოებისას ბუნებრივი გაშიშვლებებიდან და ჭრილებიდან აღებული და აღწერილი თიხაფიქლების ნიმუშების ლაბორატორიული (მიკროსკოპული, ქიმიური, რენტგენოფაზური, რენტგენოფლოუორესცენტული, თერმული) კვლევებით მიღებული შედეგების გაანალიზების საფუძველზე (ტექტონიკური პირობები, მინერალური პარაგენეზისი, ორგანული ნახშირბადის შემცველობა, კატაგენეზისის დონე) გამოყვავით შეილგაზის შემცველობის თვალსაზრისით პერსპექტიული ლოკალური უბნები, გარემოს შემდგომი ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის საჭირო მოთხოვნების გათვალისწინებით.

ჩატარებული კვლევების საფუძველზე წინასწარი დასკვნები, ქართული შეილგაზის პოტენციალის თაობაზე, საკმაოდ პოზიტიურია. თუმცა, ყოველივე ჯერჯერობით მხოლოდ და მხოლოდ პერსპექტიულობის მაჩვენებელია და ბევრი რამ ჯერ კიდევ დასაზუსტებელი და შესასწავლია მეტი დეტალურობით. ფიქლის გაზის პერსპექტიულობა და რეალურობა გამოყოფილ პერსპექტიულ უბნებში შემდგომი დეტალური საველე და ლაბორატორიული კვლევითი სამუშაოების შედეგად გაირკვევა, მით უმეტეს, რომ კავკასიონის ნაოჭა სისტემის იურული თიხაფიქლები პირდაპირ ებმის კასპის ზღვის ნავთობგაზის აუზებსა და დაღესტნის იმავე ასაკის წარმონაქმნებს.